



პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 168

2018 წ. „12“ 09

ქ. თბილისი

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯარების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 12 სექტემბერი.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №17 სხდომის ოქმის მექქსე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
კარლო კერვალიშვილი

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი



დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენო ვანი სტუდენტებ ისათვის	კრედიტები ს რაოდენობა არაქართუ ლენოვანი სტუდენტე ბისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ვებ- ინტერფეისის დიზაინერის (1)	მესამე	ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040166	63	78	ქართული	30	ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წერონისის 208)
2	ბუღალტრულიი აღრიცხვა (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული	40	ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წერონისის 208)
3	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1)	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	101	131	ქართული	40	ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წერონისის 208)
4	პრაქტიკოსი ექთანი (1)	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	118	148	ქართული	60	ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წერონისის 208)
5	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ი	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შრომის	120	150	ქართული	50	ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა

	ტექნოლოგიების (1)		უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში 041364					(ქ. თბილისი, წერონისის 208)
6	ტუროპერატორი (1)	მეხუთე	ტუროპერატორი ს მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112062	104	134	ქართული	30	ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წერონისის 208)
7	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მეხუთე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	50	ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წერონისის 208)

- (1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
- (2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.